

- ✓ თსუ-ში გადმოსვლის უფლება აქვს მხოლოდ იმ სტუდენტს, რომელმაც დადგინო ვადაში გაიარა რეგისტრაცია განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე. მობილობის მსურველი პირი, ვალდებულია განსაზღვროს ვადაში მიმართოს განცხადებით თსუ-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- ✓ თსუ-ს ბაკალავრიატში მობილობის წესით სტუდენტთა ჩარიცხვისთვის დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე ჩარიცხებიან მხოლოდ ის სტუდენტები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებული შედეგები აღმატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.
- ✓ მობილობის წესით თსუ-ში არ ჩარიცხებიან დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტები.
- ✓ 2010-2011 სასწავლო წლიდან თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტებისათვის სწავლის საფასური განისაზღვროს სემესტრში 1125 ლარის ოდენობით.

არსებული ვაკანსიები:

[ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი](#)
[ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი](#)
[სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი](#)
[ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი](#)
[მედიცინის ფაკულტეტი](#)

ვადები:

- საბუთების მიღება – 2-6 აგვისტო
- თსუ-ში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება – 2-12 აგვისტო
- სტუდენტთათვის აღიარებული კრედიტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება – 16-17 აგვისტო
- საბოლოო შედეგები – 18 აგვისტო

საბუთების ჩამონათვალი:

- განცხადება თსუ რექტორის სახელზე (განცხადების ფორმა ივსება საბუთების ჩაბარებისას ფაკულტეტზე);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების ასლი (დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით);
- ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან (ამონაწერი დამოწმებული უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბეჭდითა და ხელმოწერით);
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერტიფიკატის ასლი;
- ატესტატის ასლი;
- 30-ლარიანი ქვითარი.

საბანკო რეკვიზიტები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, სს "ბანკი რესპუბლიკა" ბანკის კოდი 220101757 GE 22 BR 000000000345634

(შენიშვნა: კონკურსის დამთავრების შემდეგ, წარმოდგენილი საბუთები კონკურსანტს უკან აღარ უბრუნდება).

საბუთების მიღება იწარმოებს – 2 აგვისტოდან 6 აგვისტოს ჩათვლით 10 სთ-დან 17 სთ-მდე:

- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – უნივერსიტეტის ქ. 2, თსუ (ბიოლოგების) XI კორპუსი, ოთახი №303.
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის №36. თსუ V კორპუსი, სტუდენტთა მომსახურების ცენტრი.
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – თსუ VI კორპუსი, II სართული, ოთახი №202.
- ეკონომიკის ფაკულტეტი – უნივერსიტეტის ქუჩა №2, (მადლივი) X კორპუსი, VI სართული, ოთახი №602.
- მედიცინის ფაკულტეტი – ი. ჭავჭავაძის გამზ. № 5, თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის /ყოფილი "ლეიკომინატის"/ ტერიტორია, შესასვლელი ეზოდან.